

სახელმწიფო ენის 2021-2030 წლების ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის)

2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტი საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი

ანგარიში

2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავდა საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად დოკუმენტების მომზადების პროცესში ჩართული იყო უწყებათაშორისი საბჭო, დარგობრივი სამეცნიერო უწყებები, აკადემიური და სამოქალაქო სექტორი, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება წარიმართა სამ ეტაპად ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ფართო ჩართულობის უზრუნველსაყოფად კონსულტაციები და წინადადებების წარდგენა დაიწყო 2023 წლის 1-ელ მაისს და გაგრძელდა 17 მაისის ჩათვლით. წერილობითი რეკომენდაციებისა და შენიშვნების გამოგზავნა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ მხარეს.

საჯარო კონსულტაციები დაიწყო 2023 წლის 1 მაისს, ხოლო დასრულდა - 2023 წლის 17 მაისს.

საჯარო კონსულტაციების პირველ ეტაპზე, 2023 წლის 1 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, დაინტერესებული მხარეებისგან წერილობით შემოვიდა რეკომენდაციები, შენიშვნები და მოსაზრებები.

მეორე ეტაპზე, სამოქმედო გეგმის პროექტის ეფექტური განხორციელებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, შეხვედრა გაიმართა აკადემიური და

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან (2023 წლის 10 მაისი). შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, მეცნიერები კვლევითი ცენტრებიდან და ბიბლიოთეკებიდან, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები, მედია, საჯარო მოხელეები.

საჯარო კონსულტაციების მეორე ეტაპზე სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მოწვეული იყო 50-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო შეხვედრას ესწრებოდა 80 წარმომადგენელი.

პროცესის მესამე, ანუ დასკვნით ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები უწყებათაშორისი საბჭოს წარმომადგენლებთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტთან (სამოქმედო გეგმის დოკუმენტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ კრიტერიუმებთან დაკავშირებით).

შეხვედრების დრო, ფორმატი და რაოდენობა

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის ეფექტური განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა, როგორც მაკოორდინირებელმა უწყებამ, 2023 წლის 1 მაისს, საჯარო კონსულტაციები გამოაცხადა ფართო საზოგადოებისათვის. საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სოციალურ ქსელებში: ვებგვერდზე, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ვებგვერდზე. ინფორმაცია გაეზავნა საზოგადოებრივ მაუწყებელს, ტელეკომპანია „იმედსა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2-ს“.

- აკადემიური და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა 2023 წლის 10 მაისს. შეხვედრას დაესწრო სულ 80 მონაწილე.

შეხვედრა ინტერაქციული ფორმატით წარიმართა, გამოითქვა მნიშვნელოვანი და კრიტიკული შეფასებები. აღინიშნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის როლი და ძალისხმევა.

- 2023 16 მაისს შეხვედრა გაიმართა საქართველოს ინტერნეტსაზოგადოების საბჭოს წევრებთან;
- 2023 წლის 17 მაისს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა შეხვედრა გამართა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (50 მონაწილე, ვრცლად იხილეთ ოქმი და დასწრების ფურცელი).

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჯამში გაიმართა 3 საკონსულტაციო შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო 150-მდე ბენეფიციარი/პირი (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, ექსპერტები და თემით დაინტერესებული სხვა აქტორები).


სახელმწიფო ენის დეპარტამენტის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები

სახელმწიფო ენის სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში მიღებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები როგორც აკადემიური სფეროების, ისე სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. სულ არის 44 წინადადება, მათგან რეკომენდაციაა 31, მოსაზრება - 10, კითხვა/შენიშვნა - 3.

წარმოდგენილი რეკომენდაციები დეტალურად იქნა განხილული: გარკვეული ნაწილი უკვე ასახული იყო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში, შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისი აქტივობის განხორციელება ამჟამადც მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი რეკომენდაცია და მოსაზრება ვერ აისახა, ზოგიერთი კი არ იყო სამოქმედო გეგმის ფორმატისა/შინაარსის შესაბამისობამისი.

წარმოდგენილ რეკომენდაციათაგან: გათვალისწინებულია - 12, ნაწილობრივ გათვალისწინებულია - 5, არ არის გათვალისწინებული - 27.

სამოქმედო გეგმის პროექტის საჯარო განხილვების შედეგად მიღებული წინადადებების მაჩვენებელი



სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021-2030 წლების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები

სტატუსი	სტატუსის მინიჭების კრიტერიუმი
გათვალისწინებულია	რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიაში ასახულია იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც პარტნიორმა ორგანიზაციამ წარმოადგინა
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	<ul style="list-style-type: none"> - რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე ან მისი გავლენით გარკვეული ცვლილებები შევიდა სტრატეგიის ტექსტში, თუმცა არა ზუსტად ისეთი ფორმულირებით, როგორც პარტნიორი ორგანიზაცია გვთავაზობდა. - რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიის ტექსტში არ ასახულა, თუმცა სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული.
არ არის გათვალისწინებული	რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე სტრატეგიის ტექსტში (მათ შორის, არც ლოგიკურ ჩარჩოში და არც სამოქმედო გეგმაში) ცვლილება, ან შესწორება არ განხორციელებულა.

სამოქმედო გეგმის პროექტის სისტემური შეფასება/ზოგადი საკითხები	
რეკომენდაცია	<p>მოსაზრება 1</p> <p>[სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში] ძირითადად მითითებულია პროგრამული და ადმინისტრაციული ხარჯი, ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხარჯი არც არის გაწერილი. ცხადია ყველასთვის, რომ ეს ფინანსები არ არის საკმარისი იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც დასახულია. თუ გაქვთ მცდელობა, სხვა ევროპული ქვეყნების მაგალითზე, მოიპოვოთ პროგრამული დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან? არის თუ არა დაგეგმილი მიზნობრივი დაფინანსება სტრატეგიის მხარდასაჭერად?</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>სამოქმედო გეგმის ფორმატი ეფუძნება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების სახელმძღვანელო წესებს, რომლის მიხედვითაც აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება უთითებს დაფინანსების ტიპს (პროგრამულია თუ ადმინისტრაციული), პროგრამულის შემთხვევაში სავალდებულოა დაფინანსების ოდენობის მითითება, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის კოდი. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, როგორც სტრატეგიის მავორდინებელი ორგანო, მუშაობს უცხოურ ფონდებთანაც და საბოლოო გადაწყვეტილებები აისახება სტრატეგიის შემდგომ სამოქმედო გეგმებში.</p>

რეკომენდაცია	<p>მოსაზრება 2</p> <p>ჩვენ ბოლო ერთი წელია ვმუშაობდით აზერბაიჯანულ სკოლებში. მესმის, რომ სახელმწიფო რესურსები ხშირად არ არის საკმარისი, მაგრამ მთავარია, იყოს ნება. შიში იმისა, რომ არასაკმარისი რესურსის გამო ვერ მოხდება ამა თუ იმ აქტივობის განხორციელება, არ უნდა იყოს. არსებობს დაფინანსების ბევრი საშუალება. არაფორმალური განათლების კუთხითაც შეიძლება ამ მხრივ დახმარება, მაგრამ ამ მცდელობას ბარიერი და სირთულე არ უნდა შეხვდეს. ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში ვმუშაობდით სკოლაში, მაგრამ ბევრი ბარიერის გადალახვა მოგვიწია, სანამ ნებათვა მივიღეთ. ეს მაინც უნდა გამარტივდეს. ბიუროკრატიული დაბრკოლებები არ უნდა შეხვდეს იმ გრანტებს, რაც ჩვენ რეგიონში მოგვაქვს და გვინდა დამატებით რესურსად შევთავაზოთ სკოლას.</p> <p>სამოქალაქო თანასწორობის პლატფორმა</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>დაფინანსების სიმწირე არასდროს ყოფილა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მხარდაჭერის ნაკლებობის გამომწვევი მიზეზი. ძირითად, დაბრკოლებას წარმოადგენდა ქართულენოვანი კადრების დეფიციტი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მაქსიმალურად ხელშეწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სკოლებისთვის არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელება. თუმცა შეთავაზებების განხილვის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორებია: სკოლის მზაობა და სურვილი ჩაერთოს დაგეგმილ ღონისძიებებში, განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო სკოლის ინფრასტრუქტურა და ჩართული პირები, განხორციელებისთვის საჭირო დრო (სასკოლო საათები, გაკვეთილების შემდგომ თუ უქმეები). ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ინფორმაციის რელევანტურობა მათ ასაკთან, სასკოლო სასწავლო გეგმასთან.</p>
<p>ამოცანა 1. ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 1</p> <p>ბევრი წელია სახელმწიფო ასრულებს ქარტიით გათვალისწინებულ მოვალეობებს და დროა, მივიღოთ ენობრივი ქარტია. 1999 წელს ქვეყანამ ეს ვალდებულება აიღო და დოკუმენტი ცოცხალია. თუ ინტერესი იქნება, შეიძლება მის რატიფიკაციაზე ფიქრი და მსჯელობა. ამ ბოლო წლებში სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ენების პოპულარიზაციის და შესწავლის კუთხით. ამ მიმართულებითაც შეიძლება განახლდეს მუშაობა, მოხდეს ამ დოკუმენტის რატიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირში გაწევრიანებასაც.</p> <p>სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საბჭო</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>როგორც რეკომენდაციაშია აღნიშნული, სახელმწიფო ასრულებს ქარტიით გათვალისწინებულ მოვალეობებს. გასული და მიმდინარე სამოქმედო გეგმების აქტივობები ეთმობა როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ისე ეროვნული უმცირესობების ენების დაცვას, განვითარებასა და შენარჩუნებას. მიმდინარე სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს ქარტიის რატიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას.</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 2</p> <p>1.1.1.9 ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირების დონის გასაზომი ინსტრუმენტის შემუშავება და მონაცემების შეკრება. - იმედი მაქვს, ეს ინსტრუმენტი საფუძველშივე ციფრული იქნება. ამისთვის, ალბათ, არსებობს რაღაც ღია პლატფორმები, რომლის გამოყენებაც შეიძლება. ამით დავზოგავდით რესურსებს პროგრამული უზრუნველყოფის ნულიდან შექმნაზე და მერე მის მოვლასა და განვითარებაზე.</p> <p>ასევე, ციფრული პლატფორმა უზრუნველყოფს ინსტრუმენტის მარტივ ხელმისაწვდომობას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თუ მის გარეთ.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირების დონის განმსაზღვრელ ინსტრუმენტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ინსტრუმენტი იქმნება საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად და დამუშავების შემდეგ განთავსდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ ციფრულ პლატფორმებზეც (აქტივობა 1.1.1.8).</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 3</p> <p>1.1.1.8 სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ხელშესაწყობად მოხალისეთა პროგრამის განხორციელება;</p> <p>1.1.1.10 სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრები - Common Voice-ზე მუშაობისას დავრწმუნდი, რომ საზოგადოებაში არის ინტერესი და მზაობა მიიღონ მონაწილეობა ქართულ ენის განვითარების საქმეში. 1100+ ადამიანს ერთი წინადადება მაინც აქვს გახმოვანებული; ზოგს — ათასობით წინადადება.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ყოველწლიურად აცხადებს მოხალისეთა კონკურსს. მოხალისეთა ჯგუფები გადანაწილდებიან დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული პრიორიტეტების შესაბამისად.</p>
რეკომენდაცია	<p>მოსაზრება 3</p> <p>სასურველია, შეიქმნას მექანიზმი - ორგანიზაციებს მიეწოდოთ ინფორმაცია, რომ აუცილებელია განსაზღვრონ თავიანთი როლი ქართული ენის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. მათ უნდა გამოკვეთონ მათი საქმიანობის სფეროებიდან ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც მიემართება სახელმწიფო ენის ერთიან სტრატეგიას და ამავე დროს მათგან წამოსული ინიციატივებით განსაზღვრონ თავიანთი როლი. ეს, ფაქტობრივად, უნდა გახდეს სავალდებულო და პრესტიჟული ყველა ორგანიზაციისთვის.</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>

<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>სახელმწიფო ენის ათწლიანი სტრატეგია შემუშავებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კოორდინაციითა და საქართველოს მთავრობის წევრების მონაწილეობითა და ჩართულობით. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში უნდა განხორციელდეს 5 სამოქმედო გეგმა. მთავრობის 2019 წლის 629-ე დადგენილების შესაბამისად, თითოეული სამოქმედო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, დარგის მოთხოვნებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, მონაწილეობს ყველა სამთავრობო უწყება და მათდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანიზაციები. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფები, რომელთა წევრებიც წარმოადგენენ ინიციატივებსა და იღებენ სამოქმედო გეგმის უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>შეკითხვა/ შენიშვნა 1</p> <p>1.1.1.5 პუნქტი, ვფიქრობთ, უნდა დაზუსტდეს/დაკონკრეტდეს, თუ რა იგულისხმება „ეროვნებებისა და ენების კლასიფიკაციის შემუშავებაში“...</p> <p>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>ეროვნებებისა და ენების კლასიფიკაცია გულისხმობს ეროვნებების და შესაბამისი ენების სისტემატიზებულ იერარქიულ ნუსხას, სადაც თითოეულ საკლასიფიკაციო ობიექტს (ეროვნება/ენა) მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი. აქტივობა 1.1.1.5)</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>შემოთავაზება 1</p> <p>- ეს საკითხი საჯარო განხილვისას მეტ-ნაკლებად გაჟღერდა, თუმცა, მომზადებული მაქვს პროექტი და ხედვა, თუ როგორ შეიძლება მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული პრობლემის მოგვარება.</p> <p>ჩვენ, ერთი მხრივ, გვაქვს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომელიც ადგენს მისი გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, თუმცა, მისი აღსრულების ნაწილში გვაქვს პრობლემები, ვინაიდან არ არსებობს ბერკეტი ან რეგულაცია, რომელიც ბიზნესის წარმომადგენლებს დაავალდებულებს, თავიანთ სავაჭრო ობიექტებზე, სასტუმროებსა თუ რესტორნებზე, საჯარო ინფორმაციის განთავსებისას, გაითვალისწინონ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომაც, მათ შორის, დედაქალაქში, ხშირად გვხვდება სარეკლამო ბანერებზე ბარბარიზმები თუ ტრანსლიტერაციის წესების დარღვევა. ამ ყველაფერს ემატება თემასთან დაკავშირებული დაბალი ცნობადობა და ხშირ შემთხვევაში გულგრილობაც.</p> <p>ჩემი პროექტი, რომელიც მოვამზადე საქართველოს საზოგადოებრივი ინსტიტუტის სტრატეგიული კომუნიკაციის კურსის ფარგლებში, მოიცავს როგორც ცნობადობის ამაღლებას, ასევე ფინანსებისა და ფონდების მოძიების გზებს და ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრას.</p> <p>მოქალაქე</p>

პასუხი/ არგუმენტი	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მზად არის თანამშრომლობისთვის.</p>
რეკომენდაცია	<p>შეკითხვა / შენიშვნა 2</p> <p>რას გულისხმობს სახელმწიფო ენის პორტალი, რა სახის ინფორმაცია იქნება იქ განთავსებული?</p> <p>სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი</p>
პასუხი/ არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>სახელმწიფო ენის პორტალი არის ინტერაქციული საინფორმაციო ინტერნეტპლატფორმა, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის სახელმწიფო ენის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას, თავს მოუყრის სხვადასხვა ტიპის ენობრივ რესურსებს (კორპუსებს, ლექსიკონებს, საინფორმაციო ბაზებს...) და მათი შექმნა-დამუშავებისათვის აუცილებელ პროგრამებს, ინსტრუმენტებს თუ აპლიკაციებს.</p>
<p>ამოცანა 2. სალიტერატურო ქართული ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 4</p> <p>როგორც სახელმწიფო ენის სტრატეგიის დოკუმენტშია მითითებული, დღეს „არ არსებობს ერთიანი ორთოგრაფიული ბაზა, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა ნორმატიული ლექსიკონის მონაცემს და, რაც მთავარია, რეგულარულად ასახავდა ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის სფეროში მომხდარ განახლებებს. ასეთი ბაზის არარსებობა ზღუდავს მომხმარებლის ხელმისაწვდომობას ნორმაზე, აფერხებს ნორმების განახლებას, აგვიანებს ახალი ნორმის დამტკიცებას, მის დანერგვას, პოპულარიზაციას და საბოლოოდ აფერხებს სახელმწიფო ენის სწორი ფუნქციონირების პროცესს“ (გვ. 23). აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უნდა დაჩქარდეს ერთიანი ორთოგრაფიული ბაზის, ისეთი ნორმატიული ელექტრონული ლექსიკონის შექმნა (მუდმივი შევსების, განახლების პრინციპით), რომელშიც თავმოყრილი იქნება არა მარტო ყველა ნორმატიული ლექსიკონის მონაცემი, არამედ განახლებული ნორმებიც და შესაძლებელი იქნება ცვლილებების, სიახლეების შეტანა. ამ მიზნით, სასურველია, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის აქტივობებში გამოიკვეთოს, დაემატოს პუნქტი 1.2.1.7. ერთიანი ორთოგრაფიული ბაზის, ნორმატიული ელექტრონული ლექსიკონის შექმნა.</p> <p>აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>

<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>სახელმწიფო ენის სტრატეგიის შესაბამის ამოცანაში აღნიშნულია, რომ ერთიანი ორთოგრაფიული ბაზა უნდა განთავსდეს სახელმწიფო ენის პორტალზე. ამ პროცესის დასაჩქარებლად იგეგმება დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის საკონკურსო და სახელშეკრულებო წესით კონკრეტული ნორმატიული ამოცანების გადაჭრა. ეს სამუშაო სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთი კონკრეტული ასპექტია.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 5</p> <p>ამოცანა 1.2.-ის დროულად და სრულყოფილად განხორციელებისათვის, ვფიქრობ, აუცილებელია არსებული რისკფაქტორების აღმოფხვრისათვის უფრო მეტად ეფექტური გზებისა და მეთოდების გამოყენება, კერძოდ, საჯარო სამსახურების უფრო მეტად დაინტერესება, აკადემიური წრეების, მათ შორის, საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ფინანსური რესურსების მოზიდვა და გამოყოფა გარკვეული სამუშაოს (კვლევა, ტრენინგი, საინფორმაციო შეხვედრა და სხვა) შესრულებისათვის. პუნქტებთან 1.2.1.4. და 1.2.1.5. შეიძლება დამატებით მიეთითოს პარტნიორი უწყებები (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები).</p> <p>აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>1.2.1.5-ის განხორციელებისას სახელმწიფო ენის დეპარტამენტს დაგეგმილი აქვს თანამშრომლობა არა მხოლოდ უმაღლეს, არამედ სხვა საფეხურის სასწავლო დაწესებულებებთან.</p> <p>იქმნება განახლებულ ნორმათა კორპუსი. ამ პროცესის დასაჩქარებლად იგეგმება დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის საკონკურსო და სახელშეკრულებო წესით კონკრეტული ნორმატიული ამოცანების გადაჭრა. ეს სამუშაო სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთი კონკრეტული ასპექტია.</p>
<p>ამოცანა 3. ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება</p>	
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 6</p> <p>სკოლებში ლექსიკონების გამოყენების კულტურის დაბრუნება. ამ მიზნით შეიძლება მასწავლებლებისთვის ტრენინგების სერიის დაგეგმვა, სავარჯიშოების კრებულების შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავს ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>

<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>რეკომენდაცია ბუნდოვანია. ასაკის შესაბამისად ყველა სასკოლო სახელმძღვანელოს ახლავს ლექსიკონი ან თითოეული თემის გასწვრივ განმარტებულია ახალი სიტყვები. ტერმინთა განმარტებები ახლავს მასწავლებლის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და ზოგადი განათლების სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს. მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე გამჭოლად მუშაობს ყველა საგანი, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმით წიგნიერების საფუძვლად განსაზღვრულია კითხვის უნარის განვითარება: <i>„სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.“</i></p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 7</p> <p>ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხებზე სამსჯელოდ მრგვალი მაგიდის გამართვა ან კონფერენციის ჩატარება.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრისათვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას, რაც მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასრულდება. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა თავისთავად გულისხმობს სამუშაო შეხვედრებსა და საჯარო განხილვას, რაც ასევე დაგეგმილია, თუმცა სამოქმედო გეგმის ფორმატი ამგვარი ღონისძიებების ასახვას დოკუმენტში არ ითვალისწინებს.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 8</p> <p>აუცილებელია ტერმინოლოგიის ბაზის სტანდარტის შემუშავება/ამოქმედება მეცნიერების ყველა დარგისთვის (თეზაურუსის პრინციპი ქართული ტერმინთბანკისთვის).</p> <p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ტერმინოლოგიის ბაზის სტანდარტის შემუშავება. აქტივობა-1.6.1.2</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 9</p> <p>[თარგმანთან დაკავშირებით] უზომოდ მახინჯდება ენა. სახელმწიფო დოკუმენტები არის საოცარი ენით შესრულებული. პროგრამები უნდა შეიქმნას, გაიზარდოს სპეციალისტები, რომლებიც ქართულ ენას დაიცავენ.</p> <p>ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>სახელმწიფო ენის სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების მნიშვნელობას სახელმწიფო ენის სწორი და შეუზღუდავი ფუნქციონირებისათვის. პირველსავე სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება თარგმანთმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნის წინაპირობად. ეს სამუშაო უკვე დასასრულს მიუახლოვდა. ეს იქნება პირველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს უმაღლეს სასწავლებელთა აქტივობები სასწავლო პროგრამების შესაქმნელად.</p> <p>დეპარტამენტი ამზადებს საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის განხორციელებითაც უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები მთარგმნელ-ტერმინოლოგებისთვის და კვალიფიციური თარჯიმნებისთვის.</p>
<p>ამოცანა 4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 10</p> <p>ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც აფერხებს სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას, არის ქართული ენის სწავლების არასათანადო ხარისხი როგორც სკოლამდელ, ისე ზოგადსაგანმანათლებლო და უფრო მაღალ საფეხურზე. ამ მიზნით აუცილებელია პროექტში გამოიკვეთოს და დაჩქარდეს ისეთი საკითხების მოგვარება, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ქართული ენის გრამატიკის სწავლების აღდგენა-გამლიერება და ხელშეწყობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; ბ) სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასწავლო რესურსების გადახედვა (როგორც შინაარსის, ისე ენობრივი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით) და განახლება; გ) ქართული ენის სწავლების გამლიერება და ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა სპეციალობაზე, მათ შორის, ჟურნალისტიკის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების, უცხო ენათა, აგრეთვე, ტექნიკურ სპეციალობებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ სპეციალობაზე, სამწუხაროდ, მომავალი სპეციალისტი ჟურნალისტი, მთარგმნელი...) დარჩენილია ქართული ენის ცოდნის გარეშე. <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>

<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული ქართული ენის გრამატიკა და მართლწერა ეროვნული სასწავლო გეგმით ქართული ენისა და ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) სახელმძღვანელოები დაყოფილია ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის ნაწილებად. რაც შეეხება სკოლამდელი განათლების საფეხურს, გაუგებარია, რომელი სასწავლო რესურსების გადახედვა იგულისხმება, ვინაიდან აღნიშნულ საფეხურზე არსებობს მხოლოდ აღმზრდელის მეთოდოლოგიური რესურსები (ბავშვის ტექსტური რესურსები არ არსებობს. საანბანო პერიოდი იწყება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში).</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 11 სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის სათამაშო კონკურსების ჩატარება ქართული ენის არაფორმალური სწავლებისა და პოპულარიზაციის მიზნით. ინტერნეტსაზოგადოება საქართველო</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად უწევს ორგანიზებას არაფორმალური განათლების კონკურსებს. მაგალითად: ესეების კონკურსი, „ჩემი პირველი როლი“, „დღიურების კონკურსი“, "ვწერ თავისუფალ თემას" და სხვა. სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურისთვის შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურსების ჩატარება არ არის გამართლებული ბავშვის ფსიქო-ემოციური განვითარებიდან გამომდინარე.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 12 შეიქმნას ერთიანი ვებ. პორტალი საქართველოსა და ქართულ დიასპორებში მოქმედი საკვირაო სკოლებისთვის, რითაც მათ ერთიანი ღონისძიებების ორგანიზების და გაზიარების საშუალება მიეცემათ. ინტერნეტსაზოგადოება საქართველო</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული ევროკავშირის მხარდაჭერით, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანამშრომლობის შედეგად, უკვე შექმნილია დიასპორული ვებ პორტალი - „WWW.GDA.GE - ქართული დიასპორა“, რომელიც არის ერთი ფანჯრის პრინციპზე აგებული, ერთადერთი დიასპორული პლატფორმა ქართულ ვებ სივრცეში, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების საჭიროებებსა და ინტერესებზე. ვებ პორტალი ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს და მიმდინარეობს მისი განვითარების პროცესი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება თემატურ ჯგუფებს შორის ერთობლივი ღონისძიებების და ფორუმების ორგანიზების, ასევე, ნებისმიერი ფორმით მათ შორის ინტენსიური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 13</p> <p>ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა, მაგრამ ძირითადი სახელმძღვანელო იმ სკოლებისთვის, სადაც ოსურ ენას ასწავლიან, არ არსებობს. ყურადღება გასამახვილებელია სწორედ ამ საკითხზე. მეორე საკითხი, რაც ძალიან სამწუხაროა, ოსური ენის პედაგოგები არ გვყავს, ჩვენ გვყავს რუსული ენის პედაგოგები. მადლობა ენის დეპარტამენტს, რომელიც მუდმივად აქცევს ყურადღებას ოსური ენის საკითხს. დღეისათვის ასეთი სიტუაციაა, არ არის სახელმძღვანელო, არ გვყავს პედაგოგი, ოსური ენა ისწავლება სამოყვარულო და არა აკადემიურ დონეზე.</p> <p>ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>არსებული რეალობიდან გამომდინარე (შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის არარსებობა) ვერ ხერხდება სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა. შესაბამისად მისაღწევ შედეგად გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ სამოქმედო გეგმის დასახული მიზანი იქნება მიღწეული, შესაძლებელი იქნება მომდევნო ეტაპად განისაზღვროს დამხმარე სახელმძღვანელოს გადამუშავება და სასკოლო სახელმძღვანელოდ გარდაქმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცედურებით დადგენილ ყველა მოთხოვნას.</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 14</p> <p>ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხები, რომლებიც სახელმწიფო ენის სწავლებას ეხება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მცირერიცხოვან ენების, გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომ ენების საკითხი. მაგალითად, უდიურის. ასევე არის სხვა ენები, რომლებიც ისწავლება კომპაქტურად დასახლებული ადგილების რამდენიმე სკოლაში, თუმცა, ამის მიუხედავად, მათი გაქრობის საფრთხეც რეალურია. ხომ არ არის შესაძლებელი, ეს საკითხი ცოტა უფრო დეტალურად იყოს განხილული და ასახული სამოქმედო გეგმაში.</p> <p>სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საბჭო</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: ნაწილობრივ არის გათვალისწინებული</p> <p>სამოქმედო გეგმაში უდიურ ენასთან დაკავშირებით უკვე არის შესული კონკრეტული აქტივობა (1.7.1.7), თუმცა გამოვთქვამთ მზაობას, საფრთხეში მყოფ სხვა ენებთან დაკავშირებით განვიხილოთ კონკრეტული შეთავაზება. აქვე დავაზუსტებთ, რომ სწავლებისთვის აუცილებელია მასწავლებელი და სასწავლო რესურსი. ორივე კომპონენტი დამოკიდებულია კვალიფიციურ ადამიანურ რესურსზე.</p>
რეკომენდაცია	<p>მოსაზრება 4</p> <p>1+4 ცოტა სხვანაირად უნდა არსებობდეს, ამაზე კამათი შეიძლება. ინფორმაცია მინდა მოგაწოდოთ, უკვე მეორე წელია, ასრულებენ პროგრამას ბილინგვური განათლების შესახებ. მისი სამიზნე ჯგუფია არაქართულენოვანი სკოლების ბილინგვი კლასის მასწავლებლები. ეს არის მხოლოდ თსუ-ში, ვისურვებდი, ყოფილიყო სხვაგანაც. თუმცა არანაირი მხარდაჭერა სამინისტროს მხრიდან არ აქვს. გამოცხადდა 700 ვაკანსია ბილინგვი მასწავლებლების და საიდან უნდა მოვიდეს. თქვენ არ ხართ აღმასრულებელი, მაგრამ სამინისტროს მიმართ უნდა დააყენოთ საკითხი. ვითხოვთ მხარდაჭერას ამ საკითხში.</p>

	<p>საქართველოში სახელმძღვანელოების მომზადებაზე ითქვა უკვე და ეს არის აუცილებელი. ეს უნდა შეიქმნას ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში.</p> <p>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>1+4-თან დაკავშირებით აქტივობები შესულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში, მათ შორის ისიც, რომ კონცეფცია უნდა შეიცვალოს. იხ. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმა, აქტივობა 3.3.1.3</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>მოსაზრება 5</p> <p>1+4 დაკავშირებით, ვფიქრობ, ამ ახალი კონცეფციის შემუშავებაში სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულები. ხარვეზების კვლევა აკადემიურ დონეზე კი არ უნდა ჩატარდეს, თვითონ მონაწილეები უნდა ჩართოთ ამაში. რაც თქვა ქალბატონმა ბელამ, ენა საბაზისო დონეზე უნდა იცოდნენო, გამოცდის ჩაბარება თუ მომიწია, მაშინ მე ამ პროგრამის საჭიროებას ვეღარ ვხედავ. უმცირესობების ჩართულობის გარეშე ეს საკითხი [სახელმწიფო ენის სწავლების] არ უნდა გადაწყდეს.</p> <p>მეორე საკითხია ის, რომ როცა სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ აქტივობის შესასრულებლად არასაკმარისია ფინანსური რესურსი, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის არ შესრულდება. უნდა იყოს სათანადო რესურსი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად.</p> <p>და ბოლო, უმცირესობების ენის სწავლების და კვლევის საკითხი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანად მიმაჩნია უმცირესობების წარმომადგენელთა [პიროვნულ] რეალიზებაზე ორიენტაცია. ხშირად მეუბნებიან, რომ უმცირესობების სკოლები გავაქართულოთო, მაგრამ არავინ უნდა იყოს ვალდებული, თავისი ენის ფასად შეისწავლოს სახელმწიფო ენა, სახელმწიფო უნდა იყოს ვალდებული, ორივეს შესწავლა მოახერხოს ადამიანმა თანაბარ დონეზე.</p> <p>ასევე, სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი უმცირესობებისთვის უმცირესობების ენაზე, სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ. ეს არის პოლიტიკურად გადასაწყვეტი საკითხი.</p> <p>ააიპ პლატფორმა „სალამი“</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>აღნიშნული მოსაზრების შესაბამისად დაემატა აქტივობა 1.1.1.9 - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მონაწილეობის სტუდენტური ფორუმის მოწყობა სახელმწიფო ენის ცოდნისა და გამოყენების გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>მოსაზრება 6</p> <p>1.4.1.16. 1+4 პროგრამის ახალი კონცეფციის მომზადება.</p> <p>თსუ-ს იურიდიულმა ფაკულტეტმა საგულისხმო ინიციატივა წამოიწყო — <u>სტუდენტები ვიკიპედიის სტატიებს დაწერენ</u>. ვფიქრობ, 1+4 პროგრამის მონაწილეებსაც წაადგებოდა მსგავსი აქტივობა. თან, ამით სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განვითარებაც შეიძლება, როგორცაა, მაგალითად, ინტეგრაცია. სიტყვაზე, სტატიების თემა შეიძლება იყოს ისტორიულ ფიგურებზე; საქართველოს მოქალაქე ეროვნულ უმცირესობებზე. მე რომ</p>

	<p>სტუდენტობისას დამეწერა მსგავსი სტატია საქართველოს ვინმე ცნობილ სომეხ მოქალაქეზე, ეს, ვფიქრობ, უფრო ადრე დამაფიქრებდა ჩემს ადგილზე ქართულ საზოგადოებაში.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი - 1+4 პროგრამის ახალი კონცეფციის მომზადება - შესულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში, მათ შორის ისიც, რომ კონცეფცია უნდა შეიცვალოს. იხ. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმა, აქტივობა 3.3.1.3</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 15 1.4.1.23 ქართული ენის ონლაინ სასწავლო კურსის შექმნა . ვფიქრობ, რომ Duolingo-ზე ქართული ენის დამატება უნდა იყოს პრიორიტეტული. იმედი მაქვს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლები გააგრძელებენ ამ ინიციატივის მხარდაჭერას. მაგალითად, ახლა ჰეტიცდა გავგზავნეთ, რომლის მიზანია, ბევრი ხმა შევაგროვოთ, რომ დავანახოთ დუოლინგოს გუნდს, რომ ქართულ ენის კურსზე მოთხოვნა მაღალია. მჯერა, პოპულარობით ქართული ენა არ ჩამოუვარდება ისეთ ენებს, რომლის კურსებიც უკვე არსებობს. ამ ხმების შეგროვების პროცესში ათი ათასობით ადამიანს გავაცნობთ ქართულ ენას და მოუნდებათ მისი სწავლა.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია დეპარტამენტმა მიმართა დუოლინგოს ადმინისტრაციას და პასუხს ელოდება. სხვა ბერკეტი ამ საკითხის გადაჭრაზე ზემოქმედების, არ გააჩნია. თუკი გვერდის ადმინისტრაცია ინტერესს გამოხატავს, დეპარტამენტი ყველანაირად დაუჭერს მხარს კურსის მოსამზადებელ სამუშაოს.</p>
რეკომენდაცია	<p>მოსაზრება 7 სახელმძღვანელოებთან და პედაგოგებთან დაკავშირებით. ჩვენ სერიოზული გამოწვევა გვაქვს მასწავლებლების, სკოლის მასწავლებლის რაოდენობა ორჯერ ნაკლებია საჭიროზე. არ არსებობს ფაკულტეტი, რომელიც აღზრდიდა პროფესიონალს. ძალიან საინტერესოდ მეჩვენება, როგორ შეძლებს განათლების სამინისტრო ამ პრობლემის მოგვარებას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პილოტირებაა დაწყებული ამ პროგრამის, ეს პრობლემა პრობლემად რჩება. ჩვენ დღეს გვაქვს ასეთი რეალობა, კვლევებზე დაფუძნებული, ეთნიკური უმცირესობების 60 პროცენტმა არ იცის სახელმწიფო ენა, 68 პროცენტმა არ იცის ასოების ცნობა, 83 პროცენტს არ შეუძლია წაკითხული ტექსტის გააზრება. ამ რეალობაში 1 + 4 პროგრამის როგორი რეფორმირებაა დაგეგმილი, უნდა ვიცოდეთ. ძალიან რთული იქნება მარტო ამ პროგრამაზე პედალირება. მარტო ამ პროგრამით განაცხადო, რომ 2030 წლისთვის სახელმწიფო ენა ეცოდინება 90 პროცენტს, ისევ იმის გაგრძელებაა, რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, და 2030 წლისთვის აღმოვაჩინოთ, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ შეცვლილა. ერთი, რაც თქვენ ახსენეთ, უნდა მოხდეს ქართული ენის დონეების განსაზღვრა, კონკრეტული სტანდარტი რომ იყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომ მათ არ ჰქონდეთ ვალდებულება, ისეთივე სრულფასოვანი</p>

	<p>ქართულით საუბრობდნენ, როგორც ოქტაი ქაზუმოვი და დაშვებული უნდა იყოს მათი შეღავათიანი მიღება საჯარო სამსახურში.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანებისთვის, ვინც არ იცის სახელმწიფო ენა და უკვე ვეღარც ისწავლის, თარჯიმანი არსებობდეს სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისთვის. თვითმმართველობებს არ მიმართავს 70 % ამის გამო.</p> <p>სოციალური სამართლის ცენტრი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით.</p> <p>აქტივობა : 3.3.1.3 - ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" ახალი კონცეფციის მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 16</p> <p>სასურველია, ენის დეპარტამენტი გახდეს ინიციატორი კიდევ ერთი მიმართულებით - განათლების სისტემას შესთავაზოს გზა და მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული ენის ცოდნისა და ენობრივი კომპეტენციის ამაღლებისათვის აუცილებელია სპეციალური ღონისძიებები, კურსები, ქმედითი აქტივობები: მაგალითად, უნივერსიტეტში (ამ ეტაპზე იგულისხმება თსუ) შეიქმნას ქართული ენის ისეთი არჩევითი კურსები (შესაბამისი სილაბუსებით), რომლებიც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციის ამაღლებას, განვითარებას. ამგვარად შეიძლება გაგრძელდეს ენის სწავლების პროცესი „1+4 პროგრამის“ სტუდენტებისთვის და არა მარტო მათთვის. ამგვარი კურსები შეიძლება იყოს: ქართული ენა C 1, ქართული ენა C 2, წერის სტრატეგიები, კითხვა და კითხვის სტრატეგიები; ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიები; დარგობრივი ენა (სხვადასხვა მიმართულებით).</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>აღნიშნული საკითხები შესულია სახელმწიფო ენის სტრატეგიის მე-4 ამოცანასა და შესაბამის აქტივობებში: 1.4.1.7, 1.4.1.9, 1.4.1.10</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 17</p> <p>საჭიროა უცხო ენების სწავლების მეთოდების ანალიზი და ცვლილებების ინიცირება. შეიძლება გავმართოთ მრგვალი მაგიდა ან კონფერენცია.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>რეკომენდაცია ეხება უცხო ენების სწავლების მეთოდებს, რაც სცილდება სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზანსა და ამოცანებს.</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 18</p> <p>1.4.1.1 არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა</p> <p>1.4.1.2 სკოლამდელი ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვის ხელშეწყობა</p> <p>1.4.1.4 არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულენოვანი არაფორმალური განათლების ფორმატით მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო კლუბების, წრეების, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება</p> <p>1.4.1.28 კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართულენოვანი სკოლების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო რესურსით</p> <p>1.4.1.29 საკვირაო სკოლების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო რესურსით</p> <p>ამ მიზნისთვის, ისევ ვფიქრობ, რომ Duolingo-ზე ქართული ენის დამატება ჯობია იყოს პრიორიტეტული. იმედი მაქვს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლები გააგრძელებენ ამ ინიციატივის მხარდაჭერას. მაგალითად, ახლა ჰეტეცია გავზავნეთ, რომლის მიზანია ბევრი ხმა შევაგროვოთ, რომ დავანახოთ დუოლინგოს გუნდს — ქართულ ენაზე მოთხოვნა მაღალია. მჯერა, პოპულარობით, ქართული ენა არ ჩამოუვარდება ისეთ ენებს რომლის კურსებიც უკვე აქვთ. ასევე, ამ ხმების შეგროვების პროცესში ათი ათასობით ადამიანს გავაცნობთ ქართულ ენას და მოუწოდებთ მისი სწავლა.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>იხ. მე-16 რეკომენდაციის პასუხი</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 19</p> <p>სამოქმედო გეგმაში 1.4.1.2 ითვალისწინებს სკოლამდელი ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვის ხელშეწყობას, რაც, ცხადია, მისასაღებელია; ვფიქრობთ, ეს პუნქტი უნდა განივრცოს და აქვე განიხილებოდეს ბილინგვური განათლების მოდელის მხარდაჭერა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: მით უფრო მაშინ, როცა განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ახალ, აქტიურ ფაზაში გადაიყვანა ამ მოდელის განხორციელება; ამ შემთხვევაში ლოგიკურია მომდევნო (1.4.1.3) პუნქტი, რომელიც არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული სკოლების მასწავლებლების გადამზადებას ითვალისწინებს.</p> <p>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>რეკომენდაციის შესაბამისად, მიმდინარე სამოქმედო გეგმაში დაემატა აქტივობა: ეროვნული სასწავლო გეგმის ბილინგვური მიდგომით დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე (აქტივობა: 1.4.1.3)</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 20</p> <p>მინდა გამოვყო ის საკითხი, რომ თვითონ ქართველ სტუდენტებში, არა ფილოლოგებში, მწვავედ დგას ქართული ენის სრულყოფილად ფლობის საკითხი. ეს მართლაც გამოწვევაა. ამ მხრივ რა ინსტრუმენტი შეიძლება შევიმუშაოთ. უნდა იყოს ქართულ უნივერსიტეტში ერთი წელი იქნება თუ ორი, ქართული ენის სწავლება. გვაქვს საშინელი რეალობა ამ მიმართულებით.</p> <p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p> <p>ამ საკითხების განსახილველად 2022 წლის აპრილ-მაისში დეპარტამენტის ინიციატივითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა სადისკუსიო პლატფორმა. იგეგმება ამ პლატფორმის განახლება და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების შესაძლო გზების ძიება.</p>
<p>ამოცანა 5. აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 21</p> <p>აფხაზური ენის ფლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა დასავლურ ქვეყნებში მიმობნეულ აფხაზებთან ურთიერთობის დამყარება და ონლაინ კონფერენციის გამართვა (მათთან ერთად) აფხაზური ენის საჭირობოტო საკითხების თაობაზე.</p> <p>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>მიმდინარე სამოქმედო გეგმაში ოკუპაციური მდგომარეობის გათვალისწინებით, აფხაზურ ენასთან დაკავშირებით, ასახულია აქტივობები, როგორც სწავლების, ისე ფუნქციონირებისა და კვლევის მიმართულებით.</p> <p>ამ ეტაპზე სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ონლაინკონფერენციის გამართვა.</p>
<p>ამოცანა 6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 22</p> <p>ამოცანა 1.6, რომელიც ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობას გულისხმობს, არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევების ფარგლებში რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური პუბლიკაციების</p>

	<p>რაოდენობით. ასეთი პუბლიკაციები შესაძლებელია მომზადდეს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული ან ერთობლივი პროექტების ფარგლებშიც.</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო</p>
<p>პასუხი/არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული:</p> <p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების რაოდენობის განსასაზღვრად იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ პლატფორმებს, როგორცაა: Elsevier, Science Direct, erih plus და სხვ.</p> <p>ამოცანა 1.6-ის ინდიკატორებია როგორც „საქართველოში მოქმედი სამეცნიერო ფონდების მიერ მითითებულ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების რაოდენობა“, ისე „სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალზე (SJR) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირების მაჩვენებელი (ინდიკატორი 3)“. შესაბამისად, მე-3 ინდიკატორი სრულად ფარავს ყველა შესაძლო საერთაშორისო ფონდისა და პროექტის ფარგლებში მომზადებული პუბლიკაციების ნუსხას.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 23</p> <p>აუცილებლად მივიჩნევ დოკუმენტში აისახოს, წოვათუშური (ბაცბური) ენის პოპულარიზაციის მიზნით, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების, ასევე, საინფორმაციო კამპანიის ორგანიზების მიზანშეწონილობა ბაცბებთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით, სხვა სოციალური არხებისა თუ ციფრული მედიის ჩართულობა/თანხლებით. წოვათუშური (ბაცბური) აბორიგენული მოსახლეობის, ქართველთა ერთ-ერთი მშობლიური ენაა, რომელიც გადაშენების პირასაა და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მხოლოდ საქართველოში, ისიც ერთი სოფლის ნახევარში არის მეტ-ნაკლებად გავრცელებული, რაც ქართული სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ზრდის, მის ავტორიტეტთან/პრესტიჟთან ერთად.</p> <p>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი</p>
<p>პასუხი/არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>სამოქმედო გეგმაში დაემატება აქტივობა - ენის დოკუმენტირების სკოლის ორგანიზება, რომელიც წოვათუშური ენის შენარჩუნებისკენაც იქნება მიმართული (აქტივობა: 1.1.1.10).</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>მოსაზრება 9</p> <p>ეს წინადადება ადრეც შევთავაზეთ დეპარტამენტს; ვფიქრობთ, გაითვალისწინებთ და ადვოკატირებას გაუწევთ ამ იდეას... საქმე ეხება ქართულენოვანი ოპერაციული სისტემის დანერგვას საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ენის „ჩაშენება“ ოპერაციული სისტემებში უკვე მრავალი წელია, რაც ყველა ცივილიზებული ევროპული ქვეყნისთვის მიღებული პრაქტიკაა; სახელმწიფო ენაზე „ვინდოუსის“ გამოყენება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო თუ</p>

	<p>საჯარო სკოლაში ჩვენს მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი)... სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში განხორციელდა „ვინდოუსის“ ტერმინოლოგიის თარგმანი ქართულ ენაზე კომპანია „მაიკროსოფტის“ დაფინანსებით, ორგანიზაცია UGT-ს მიერ, დღემდე ვერ მოხერხდა ამ ინიციატივის ოფიციალურ დონეზე გახმოვანება და მის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღება; ვფიქრობთ, დეპარტამენტი ყველაფერს გააკეთებს ამ ეროვნული საქმის ბოლომდე მისაყვანად!</p> <p>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p> <p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გეგმავს ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ეს საკითხი ერთ-ერთი აქტივობა შეიძლება გახდეს ამ გეგმისა.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 24</p> <p>1.6 ამოცანა (ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა) - უაღრესად მწირადაა წარმოდგენილი... ვფიქრობთ, მეტი აქტივობა დაიგეგმოს უმწერლობო ენების - მეგრულ-ლაზურისა და სვანურის შესწავლა/კვლევა/პოპულარიზაციის მიზნით; შეგახსენებთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2 წლის წინ გაჟღერებულ ინიციატივას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართველური ენების საფუძვლების სწავლების მიზანშეწონილების თაობაზე. სამწუხაროდ, ამ ინიციატივას არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია. ვფიქრობთ, დეპარტამენტის სტრატეგიაში ასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება რაღაც დოზით უნდა იყოს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაშიც.</p> <p>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p> <p>ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და შენახვის კონცეფციამ უნდა მოიცვას ეს საკითხები. დეპარტამენტი განაგრძობს მუშაობას ამ მიმართულებით და თქვენს ინტერესს განიხილავს, როგორც ასეთი კონცეფციის შექმნაში თანამშრომლობის სურვილს.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 25</p> <p>1.6.1.2 ენობრივი ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა - ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების საქმეში გამოვიყენოთ არსებული პლატფორმები, ჩავართოთ საზოგადოება ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების პროცესში და ეს ტექნოლოგიები ღია წვდომაში იყოს.</p> <p>მოქალაქე</p>

<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული ენობრივი ტექნოლოგიების დოკუმენტის შექმნა ითვალისწინებს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების წესებს, საერთაშორისო გამოცდილებას, სამუშაო შეხვედრებსა და საჯარო კონსულტაციებს.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>მოსაზრება 10 განსაკუთრებული მხარდაჭერაა საჭირო ენობრივი ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტის დროულად შემუშავების მიზნით. ინტერნეტსაზოგადოება საქართველო</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი აწარმოებს მოსამზადებელ სამუშაოს პოლიტიკის დოკუმენტისთვის საჭირო ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად.</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 26 აუცილებელია ციფრული რესურსების უნიფიცირება და ერთიან ფორმატში მოქცევა. ინტერნეტსაზოგადოება საქართველო</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრება ციფრული რესურსების უნიფიცირებული ბაზის შექმნა. ამ მიზნისთვის იგეგმება ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან და ორგანიზაციასთან, პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკებთან (აქტივობა:1.6.1.2).</p>
<p>რეკომენდაცია</p>	<p>რეკომენდაცია 27 მეტი აქცენტია საჭირო ციფრულ ფორმატებში ენის გავრცობისა და ქართულენოვანი ინტერნეტსივრცის სრულყოფისათვის ინტერნეტსაზოგადოება საქართველო</p>
<p>პასუხი/ არგუმენტი</p>	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრება ციფრული რესურსების უნიფიცირებული ბაზის შექმნა. ამ მიზნისთვის იგეგმება ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან და ორგანიზაციასთან, პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკებთან (აქტივობა:1.6.1.2).</p>

რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 28</p> <p>აუცილებელია ქართულენოვანი ციფრული რესურსების უნიფიცირება და ერთიანი სტანდარტის ქვეშ მოქცევა (სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გაციფრებული მასალის ერთ პლატფორმაზე განთავსების შესაძლებლობა). ქართულენოვანი ინტერნეტსივრცის სრულყოფის მიზნით აუცილებელია გასაციფრებელი მასალის გადანაწილება, რათა ავიცილოთ მასალის დუბლირება და მაქსიმალურად სწრაფ დროში მოხდეს არსებული ქართულენოვანი ინფორმაციის გაციფრება.</p> <p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრება ციფრული რესურსების უნიფიცირებული ბაზის შექმნა. ამ მიზნისთვის იგეგმება ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან და ორგანიზაციასთან, პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკებთან (აქტივობა:1.6.1.2).</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 29</p> <p>ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა რომ გეგმაშია, ეს კარგია, მაგრამ ვინ შეარჩევს თემატიკას, ეს ენის დეპარტამენტი იქნება თუ სამინისტროები, როგორ ხდება ეს. ეს მსჯელობის საკითხი უნდა იყოს, ალბათ.</p> <p>მოქალაქე</p>
პასუხი/არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნისას გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო გამოცდილება. აქტივობები უნდა შექმნან და განახორციელონ უწყებებმა. პროცესს კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. შექმნილი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ის ნაწილი, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებითა და დაკვეთით შეიქმნება, განთავსდება დეპარტამენტის პორტალზეც, როგორც ღია რესურსი.</p>
რეკომენდაცია	<p>შენიშვნა 3</p> <p>ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, როცა ვნახე ამოცანები, თითქოს რაღაც მაკლდა, მეექვსე ამოცანაში საუბარი იყო ენობრივი ტექნოლოგიების პოლიტიკის შემუშავებაზე, მივხვდი, რომ ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების თვალსაზრისით არსად არ იყო გაწერილი ციფრული ფორმატი, ფაქტობრივად არსად არ იყო ნახსენები და ვფიქრობ, როდესაც პოლიტიკის დოკუმენტს შევიმუშავებთ, უფრო სრულყოფილად შევძლებთ ყველა ამოცანის განხორციელებას, თუ ინფორმაცია გვექნება ციფრულ ფორმატში. მნიშვნელოვანია ვახსენოთ ციფრული ფორმატი, ქართული ენის სრულყოფილი განვითარებისთვის.</p> <p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა</p>

პასუხი/ არგუმენტი	<p>სტატუსი: გათვალისწინებულია</p> <p>სახელმწიფო ენის პორტალის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრება ციფრული რესურსების უნიფიცირებული ბაზის შექმნა. ამ მიზნისთვის იგეგმება ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან და ორგანიზაციასთან, პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკებთან (აქტივობა:1.6.1.2).</p>
<p>ამოცანა 7. საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა</p>	
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 30</p> <p>ჩვენ გვაქვს რამდენიმე რეკომენდაცია იმ მცირერიცხოვან ენებზე, რომლებიც ისწავლება მცირერიცხოვან ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების სკოლებში. მათთვის სახელმძღვანელოების გამოცემაში ხელშეწყობა. მე მესმის, რომ ეს პირდაპირ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან, თუ შესაძლებელია, თქვენი მხრიდან დადგეს ეს საკითხი მთავრობის წინაშე. რადგან ოსური, უდიური, ქისტურ-ჩეჩნური, ასურული ენების პედაგოგების მომზადება-გადამზადება და ამ ენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემაში ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სომხურ-აზერბაიჯანული და რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების საქართველოში გამოცემის საკითხი.</p> <p>სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საბჭო</p>
პასუხი/ არგუმენტი	<p>სტატუსი: არ არის გათვალისწინებული</p> <p>აღნიშნული გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით.</p>
რეკომენდაცია	<p>რეკომენდაცია 31</p> <p>1.1.1.5 აფხაზური ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით ენობრივი ტექნოლოგიების გამოყენებით კულტურულ-საგანმანათლებლო კამპანიის ორგანიზება</p> <p>1.7.1.6 ოსური ენის პოპულარიზაციის მიზნით ოსური ენის დღის აღნიშვნა - Common Voice-ზე დაწყებულია მუშაობა აფხაზური ენის კრებულზე და დღეისთვის 86 საათი აქვთ. ოსური ენა ჯერ არ არის პლატფორმაზე. ორივე ენის პოპულარიზაციის მიზნით, ვფიქრობ, გამოსადეგი იქნება Common Voice-ის გამოყენება.</p> <p>აფხაზურის შემთხვევაში კრებულის საათების რაოდენობის გაზრდა, სიტყვაზე, 100 საათამდე და ოსურის შემთხვევაში — ენის დამატება Common Voice-ზე და 10 საათამდე კრებულის გაზრდა.</p> <p>სხვა პლატფორმების გამოყენებაც შეიძლება მსგავსი მიზნებით, როგორცაა, მაგალითად, ვიკიპედია და StoryWeaver-ი. ამ პლატფორმების აფხაზურ და ოსურ ენოვანი მასალებით გამდიდრება.</p> <p>ცნობისთვის, StoryWeaver-ზე წოვა-თუმურის გამოყენება შესაძლებელი არის უკვე. ამ ენაზე საბავშვო მოთხრობების დაწერა, ან/და არსებული მოთხრობების თარგმნა.</p> <p>მოქალაქე</p>

პასუხი/ არგუმენტი	სტატუსი: გათვალისწინებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში გამოაცხადებს მოხალისეების კონკურსს (იხ. აქტივობა 1.1.1.7).
----------------------	---